პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 12 იანვარი, 1945 წ. № 8 (7223). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 10 და 11 იანვრის ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინის საოქტომბრო მოხსენება ეკრანზე (1-ლი გვერდი).
ბრძოლები ბუდაპეშტში (1-ლი გვერდი).
ბუდაპეშტში შექმნილი მდგომარეობის გამო (1-ლი გვერდი).
მფრინავმა შჩერბინამ ერთ დღეს მტრის 2 თვითმფრინავი ჩამოაგდო (1-ლი გვერდი).
ბრძოლაში დაცემული საბჭოთა მეომრების ძეგლის გახსნა ვიდინში (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ ბუჩიძე თბილისში (მე-2 გვერდი).
მარიამ მექრავიშვილი (მე-2 გვერდი).
რატომ ჩამორჩა ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები (მე-2 გვერდი).
დავნერგოთ ე. აგარკოვის გამოცდილება ტყიბულის შახტებში (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-2 გვერდი).

## საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში

— მთელი გასული წელი ომით ვცხოვრობდით... ვმუშაობდით გულმოდგინედ, ვმუშაობდით მუდმივი ფიქრით ფრონტელებზე, დაუშრეტელი გაბოროტებით გერმანელზე. არაფერს არ ვიშურებდით ფრონტისათვის... დავთესეთ დროზე, მწკრივული წესით, კარგად დამუშავებულ მიწაზე. მოსავალი სახელოდ ავიღეთ — გალეწვა არ გაგვიჭიანურებია და სახელმწიფოს სავალდებულო წესით ჩავაბარეთ 643 ცენტნერი, ხოლო 403 ცენტნერი გეგმის გადამეტებით შევიტანეთ წითელი არმიის ფონდში...

ეს სიტყვები ეკუთვნის გორკის ოლქის არზამასის რაიონის არტელ „ზარიას“ გამგეობის თავმჯდომარეს, გიორგი ლეონტის-ძე როსლოვს. ამ სიტყვებს რომ ამბობდა კოლმეურნეთა საანგარიშო კრებაზე, იგი მხოლოდ თავისი კოლმეურნეობის გასული წლის მუშაობას ახასიათებდა. მაგრამ სოფლად მუშაობის წლიური შედეგების ეს დახასიათება ასეთივე საფუძვლით შეიძლება გავრცელებულ იქნას ათასობით და ათიათასობით სხვა კოლმეურნეობაზე. მთელმა ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ უკანასკნელ წელს მნიშვნელოვნად წაიწია წინ.

კანონიერი სიამაყის გრძნობა საკუთარი თავისათვის, საკოლმეურნეო წყობილებისათვის, მშობლიური საბჭოთა სახელმწიფოსათვის აღავსებს სოფლის მშრომელებს, როდესაც ისინი გადახედავენ განვლილ გზას. მაგრამ საბჭოთა ადამიანების სიამაყეს საერთო არაფერი აქვს უზარდელობასა და თვითდამშვიდებასთან.

ახალ წელს ახალი ამოცანები წარმოიშვნენ საკოლმეურნეო სოფლის წინაშე. მინდვრების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლება, პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდება, ჩვენი ქვეყნისა და ფრონტისათვის დახმარების გაძლიერება, — ასეთი შეკვეთა მიიღო ჩვენმა სოფლის მეურნეობამ 1945 წლისათვის. რაგინდ ძნელიც უნდა იყოს ეს შეკვეთა, მისი შესრულება ძალუძს საკოლმეურნეო წყობილებას, რომელმაც გადაიტანა ომის უაღრესად მძიმე განსაცდელი. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: კიდევ უკეთესად გამოვიყენოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მთელი ძალები, მთელი საშუალებანი.

ამჟამად კოლმეურნეობებში იწყება მუშაობა 1945 წელს მეურნეობის განვითარების გეგმების შესადგენად. მაგრამ ასეთი გეგმები სწორად რომ შევადგინოთ, საჭიროა შევაჯამოთ გასული წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები, საქმიანად, კრიტიკულად შევაფასოთ უკვე შესრულებული მუშაობა, გამოვავლინოთ დიდი, ჯერ კიდევ ხელუხლებელი რეზერვები და დავსახოთ მათი გამოყენების გზები. წლის სამეურნეო შედეგთა შეჯამება, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების თანახმად, წლიური ანგარიშის შედგენით მთავრდება.

წლიური ანგარიშის შედგენა არის დათვალიერება მეურნეობისა მთლიანად და ყოველი მისი დარგისა კერძოდ. ეს დათვალიერება ყოველმხრივი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი შესრულებულ იქნება, როგორც უმნიშვნელოვანესი კამპანია, თუ მის ჩატარებაში ჩაბმულ იქნება ყველა კოლმეურნე. წლიური ანგარიშის შედგენის დღეებში შემოწმებულ უნდა იქნას ყოველი ბრიგადა, ყოველი რგოლი, ყოველი ფერმა. უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეებს რგოლებისა და ბრიგადების თათბირებზე განიხილონ თავიანთი მუშაობის შედეგები, გამოავლინონ ამ მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები, დასახონ ბრიგადებისა და რგოლების განმტკიცების ღონისძიებანი.

წლიური ანგარიშის შედგენასთან დაკავშირებით კოლმეურნეობათა წინაშე სდგება მთელი რიგი დიდი და პასუხსაგები ამოცანები. მაგრამ მათ შორისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მიწის სწორად გამოყენების, არტელის ყველა საწარმოო საშუალებისა და შრომითი რესურსების სწორად გამოყენების შემოწმებას, მთელ მატერიალურ ღირებულებათა ზუსტად აღრიცხვას. არ შეიძლება აღუნიშვნელი დარჩეს საზოგადოებრივი საკუთრებისადმი უყაირათო დამოკიდებულების, ქონების გაფუჭების ან დაკარგვის არც ერთი შემთხვევა. მაგრამ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ გამოვლინებული ფაქტების აღნიშვნით. მთავარი ის არის, რომ მტკიცე წესრიგი დავამყაროთ საწარმოო საშუალებათა, საზოგადოებრივი ქონების, პროდუქტებისა და ფულადი სახსრების გამოყენებაში.

მთელი მუშაობა წლიური ანგარიშის შესადგენად გამსჭვალული უნდა იყოს სახელმწიფოს, კოლმეურნეობისა და კოლმეურნეების ინტერესებით. ამავე ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს კოლმეურნეობებში საანგარიშო კრებების ჩატარებაც. საჭიროა კიდევ და კიდევ შევამოწმოთ, ყველაფერი გააკეთა თუ არა ამა თუ იმ კოლმეურნეობამ იმისათვის, რომ შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ არტელი დავალიანებულია სახელმწიფოს წინაშე, საერთო კრებამ უნდა მოსთხოვოს გამგეობას დაუყოვნებლივ მოიხადოს ვალი და გამოძებნოს ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელებულ უნდა იქნას ამ მიზნით.

შემდეგ უნდა შევიტყოთ, რა კეთდება საარტელო მეურნეობის განსამტკიცებლად და ყოველმხრივ განსავითარებლად, ყველა რეზერვია ამოძრავებული თუ არა, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ წინ წავწიოთ მეურნეობის ყოველი დარგი, შექმნილია თუ არა აუცილებელი საზოგადოებრივი ფონდები და როგორ იყენებენ მათ. განსაკუთრებული ყურადღება საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას! შექმნილია თუ არა სათანადო სათესლე ფონდები? რა არის გაკეთებული იმისათვის, რომ დროზე იქნას შეკეთებული მანქანები, ინვენტარი, აკაზმულობა? როგორ მიმდინარეობს სასუქის დამზადება? საანგარიშო კრებების ამოცანაა არა მარტო განიხილონ ყველა ეს საკითხი, არამედ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ უფრო მალე დავამთავროთ გაზაფხულისათვის მზადება.

კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამების პრინციპების ზუსტი დაცვა აუცილებელი მოთხოვნაა კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შედგენის, განხილვისა და დამტკიცების დროს. არტელის წევრებს სრული ანგარიში უნდა წარვუდგინოთ იმაში, თუ როგორ ხდებოდა ავანსების გაცემა, როგორ იყო დაყენებული შრომისა და მისი შედეგების აღრიცხვა, როგორ ხორციელდებოდა კანონი შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

ომის წლებში განუზომლად გადიდდა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა. მაგრამ კოლმეურნეობათა შრომითი რეზერვები ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის სავსებით გამოყენებული. მოცდენა, სამუშაოზე დაგვიანება და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევანი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი. საანგარიშო კრებებზე უნდა ვაჩვენოთ მოწინავეები, რომლებმაც ყველაზე მეტი შრომადღე გამოიმუშავეს, რომლებიც მაღალხარისხოვნად მუშაობდნენ და რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს. ამასთან ერთად კრებას უნდა წარვუდგინოთ იმ ადამიანთა სრული სია, რომლებსაც შრომადღეების მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ, ხოლო კრების მოვალეობაა შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ გამოიყენოს არტელის წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებანი, პარტიისა და მთავრობის მითითებათა თანახმად.

კოლმეურნეობათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის წლიური შედეგების შეჯამება მოითხოვს როგორც კოლმეურნეობათა გამგეობების, ისე სარევიზიო კომისიების დიდ და კვალიფიციურ მუშაობას. მაგრამ ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრები ომის განმავლობაში მნიშვნელოვნად განახლდნენ და მათ ყოველთვის როდი მოეპოვებათ წლიური ანგარიშების შედგენისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. ამიტომ სწორად იქცევიან კიროვის ოლქში, სადაც წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებით ყველა რაიონში აწყობენ ხუთდღიან სემინარებს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სარევიზიო კომისიების წევრებისათვის. მარტო 36 რაიონში სემინარები უკვე გაიარა 2.911 კაცმა. ისინი გაეცნენ არტელის სანიმუშო წესდების ძირითად დებულებებს, საკოლმეურნეო ანგარიშწარმოებისა და ინვენტარიზაციის დაყენების საქმეს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრ რაიონში შესუსტდა ყურადღება კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების მუშაობისადმი, აქაიქ ისინი მთლად დაიშალნენ. ამის შეწყნარება არავითარ არ შეიძლება. უნდა განვამტკიცოთ და აქტიური გავხადოთ სარევიზიო კომისიები, საზოგადოებრივი საკოლმეურნეო საკუთრების დაცვისა და განმტკიცების საიმედო ორგანოებად გადავაქციოთ ისინი. ამჟამად, წლიური ანგარიშების შედგენისას, ყოველი კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ უნდა შეამოწმოს გამგეობის სამეურნეო - ფინანსიური საქმიანობა და თავისი დასკვნა მოახსენოს არტელის ბატონ-პატრონს — კოლმეურნეთა საერთო კრებას.

საანგარიშო კრება დიდი მოვლენაა არტელის ცხოვრებაში. საანგარიშო კრებაზე ყოველი კოლმეურნე ანგარიშს აბარებს სამშობლოს მთლიანად არტელის მუშაობისათვის და თავისი საკუთარი მუშაობისათვის, ხოლო გასული წლის მუშაობისათვის ანგარიშის ჩაბარებით იგი აქტიურად მონაწილეობს იმ ამოცანათა განხილვაში, რომლებიც კოლმეურნეობათა წინაშე დგანან 1945 წელს.

მაგრამ საანგარიშო კრებები მხოლოდ კოლმეურნეებისათვის როდია დიდი მოვლენა. ეს არის უმნიშვნელოვანესი პერიოდი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, სოფლად მომუშავე ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის ცხოვრებაში. მათ მთელი თავიანთი ორგანიზატორული და პოლიტიკური გამოცდილება, მასებზე თავისი გავლენის მთელი ძალა უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ საანგარიშო კრებები გადააქციონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის, ჩვენი ქვეყნისა და ფრონტისადმი კოლმეურნეობათა დახმარების შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლის მძლავრ იარაღად.

„პრავდის“ 11 იანვრის მოწინავე

## ბრძოლაში დაცემული საბჭოთა მეომრების ძეგლის გახსნა ვიდინში

**სოფია**, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, 7 იანვარს ქალაქ ვიდინში (ბულგარეთი) გახსნილ იქნა იმ წითელარმიელთა დიადი აკლდამა—ძეგლი, რომლებიც 1944 წლის შემოდგომაზე გმირულად დაეცნენ ჰიტლერელ ოკუპანტებთან ბრძოლაში ბალკანეთიდან მათი განდევნის დროს. ცერემონიას დაესწრნენ უპორტფელო მინისტრი დობრი ტერპეშევი, პროპაგანდის მინისტრი დიმო კაზასოვი, უკრაინის მე-3 ფრონტის სარდლობის წარმომადგენლები და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენლები. 30 ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი მიტინგზე დროშებითა და პლაკატებით, რომლებზეც წარწერილი იყო სიტყვები ბულგარელი ხალხის მადლობისა მოძმე საბჭოთა კავშირისა და მისი უძლეველი წითელი არმიისადმი. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა და ბულგარეთის ნაციონალური ჰიმნები. შემდეგ იგრიალა ქვემეხების სალუტებმა.

პროპაგანდის მინისტრმა დიმო კაზასოვმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის უდიდეს მისიას ჰიტლერული ტირანიისაგან თავისუფლებისმოყვარე ხალხთა განთავისუფლების საქმეში.

## ი. ბ. სტალინის საოქტომბრო მოხსენება ეკრანზე

კინოთეატრ „რუსთაველში“ დაიწყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად 1944 წლის 6 ნოემბერს გაკეთებული მოხსენების — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი“ — დემონსტრირება.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 10 იანვრის ოპერატიული ცნობა

10 იანვრის განმავლობაში ქალაქ **კომარნოს** ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ბინია, ბართი, ნოვა ვიესკა, პარბეტე, სტარაია დიალა, მარტოში** და რკინიგზის სადგურები **ნოვა ვიესკა, სტარაია დიალა, ხეტინი, კომარნო-ტებულნია** (ორ კილომეტრზე ქალაქ კომარნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით). 9 იანვარს ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

**ბუდაპეშტში** ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ავიწროებდნენ გერმანელთა და უნგრელთა დაჯგუფების გარემოცვის რკალს, ბრძოლებით დაიკავეს ქალაქის რაიონები **კაპოსტა, შმედიერი, უიპეშტი, რაკოშპალოტა, პალოტაუიფალუ, პეშტუიხელი, კიშპეშტი, კოშუტფალვა**, დიდი საქარხნო რაიონი **ჩეპელი** და კუნძული **ობუდაი** გემსაშენ ვერფებიანად. ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ათასზე მეტი უბანი დაიკავეს ქალაქში. ქალაქ **ბუდაპეშტის** რაიონში ბრძოლების დროს 9 იანვარს ტყვედ წამოყვანილია 3.000-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

**ბუდაპეშტის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ. 9 იანვარს ამ რაიონში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 40 ტანკი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

### 11 იანვრის ოპერატიული ცნობა

11 იანვარს **ბუდაპეშტის** რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსასპობად, რომელიც გარშემორტყმულია ქალაქში, და დაიკავეს ქალაქის რაიონი **ანგალფელდი**, რკინიგზის სადგური **რაკოში**, ყაზარმები „პალფი“ და „ანდრაში“, რკინიგზის საქონლის სადგური, მანქანათმშენებელი ქარხანა „პანც დანუბე“, ამასთან დაიკავეს 150 უბანი. 10 იანვარს ქალაქ **ბუდაპეშტში** ტყვედ წამოვიყვანეთ 1.000-ზე მეტი გარმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

**ბუდაპეშტის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და მას დიდი ზარალი მიაყენეს.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

10 იანვარს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 42 ტანკი.

* * *

ბუდაპეშტში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ ქუჩებში. საბჭოთა მოიერიშე რაზმები განუწყვეტლივ ურტყამენ მოწინააღმდეგეს და ზედიზედ სწმენდენ უბნებს ჰიტლერელებისაგან. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევენ წინ, დაიკავეს ქალაქის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და მასთან ბევრი სამრეწველო საწარმო. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა მოხდა ცემენტის ქარხნისათვის. ღამით უფროსი ლეიტენანტ შკრედის ქვეგანაყოფის მებრძოლებმა მთელი რიგი უბნები გასწმინდეს და ქარხანაზე დასავლეთიდან მიიტანეს იერიში. ჰიტლერელები შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ, მაგრამ განადგურებულ იქნენ. სხვა უბანზე ჩვენმა გვარდიის ქვეგანაყოფებმა ბლოკადაში მოაქციეს და მთლიანად მოსპეს მოწინააღმდეგის გარნიზონი, რომელიც დამხარისხებელ სადგურ რაკოშს იცავდა. გვარდიელებმა წარმატება განავითარეს, ვაროშლიგეტის პარკში შეიჭრნენ და ეწევიან ბრძოლებს იქ ჩასაფრებულ გერმანელებთან. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ჩვენი ჯარები ზედიზედ სწმენდენ ქუჩებს და, უახლოვდებიან რა დუნაის, სულ უფრო ავიწროებენ გარემოცვის რკალს. მოწინააღმდეგე უკან იხევს და ბრძოლის ადგილზე სტოვებს თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ბევრ გვამს, დიდძალ იარაღსა და საომარ მასალას. მარტო ერთმა ჩვენმა ნაწილმა ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპო 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 5 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ამ ნაწილის მებრძოლებმა გერმანელებს წაართვეს 12 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 26 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის 3 საწყობი.

ტყვედ წამოყვანილი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცები ლაპარაკობენ, რომ ბუდაპეშტში გარშემორტყმული გერმანელ-უნგრელთა ჯარების მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. გერმანიის სარდლობა არ ენდობა თავის ჯარისკაცებს. ტყვეებმა განაცხადეს, რომ მათი ქვეგანაყოფების უკან ს.ს.-ელთა ჯგუფები იმყოფებოდნენ. ს.ს.-ელთა ამ ჯგუფებს მიცემული აქვთ ბრძანება დახვრიტონ ყველა, ვინც კი ტყვედ დანებებას შეეცდება.

* * *

ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა დილაადრიან იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომლის მსვლელობაშიც ცალკეული მაღლობები არაერთხელ გადადიოდა ხელიდან ხელში. საღამოსათვის საბჭოთა ნაწილებმა ჰიტლერელები საწყის ზღუდეზე უკუაგდეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის მრავალი გვამი და მოწინააღმდეგის დიდძალი დამსხვრეული ტექნიკა. ბუდაპეშტის დასავლეთით გერმანელებმა განაახლეს იერიშები ორი მიმართულებიდან. საბჭოთა არტილერისტებმა, ჯავშანმტვრევლებმა და ქვეითებმა მტერს მძლავრი ცეცხლი შეაგებეს. მრავალი საათის ბრძოლის შემდეგ ჰიტლერელებმა უკან დაიხიეს. მტრის ქვეითთა ცალკეული ჯგუფები, რომლებმაც ჩვენს პოზიციებთან მიახლოება შესძლეს, მოსპობილ იქნენ. არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა 900-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს. დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 19 ტანკი და 7 ჯავშანტრანსპორტიორი. ტყვედ წამოყვანილია 96 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ კომიცეს აღმოსავლეთით, მოწინააღმდეგემ ბრძოლით დაზვერვა მოაწყო. გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმი და 8 ტანკი ღამით ჩვენი პოზიციებისაკენ დაიძრნენ. ნ ნაწილის მებრძოლებმა ჰიტლერელები ახლო მანძილზე მოუშვეს, სროლა აუტეხეს და 6 ტანკი დააზიანეს. შემდეგ ჩვენი ქვეგანაყოფები კონტრიერიშზე გადავიდნენ და მტრის რაზმის განადგურება დაამთავრეს. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 2 ტანკი და ტყვეები. მოსპობილია ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ჩეხოსლოვაკიის იმ რაიონების მცხოვრებნი, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, დიდი სიხარულით ეგებებიან წითელ არმიას. სოფელ ლადომიროვის გლეხმა ქალმა მარია ბოიჩიკოვამ განაცხადა: „გერმანელებმა გაგვძარცვეს და სახლებიდან გამოგვრეკეს. მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა რუსთა არმიას. ახლა ჩვენ ნათელი დღეები დაგვიდგა“. სოფელ ვაგრინეცის მცხოვრებმა პეტრე პინდარმა სთქვა: „თქვენ, რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები, წმიდა საქმეს აკეთებთ. თქვენ ურტყამთ გერმანელებს და ერეკებით მათ ჩვენი მიწა-წყლიდან“.

მთელი რიგი ფრონტისპირა რაიონებიდან გერმანელები ძალდატანებით მიერეკებოდნენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. სოფელ ლადომიროვაში 170 ოჯახი იყო, დარჩა 30, სოფელ ვაგრინეცში იყო 40 ოჯახი, ახლა მხოლოდ 20 დარჩა. სოფელ კრაინოპოლიანადან და ვიშნე სვიდნიკიდან ჰიტლერელებმა უკლებლივ მთელი მოსახლეობა გაირეკეს. ქალაქ პრეშოვში გერმანელებმა მოაწყეს შესაკრები ბანაკი, საიდანაც მშვიდობიან მოსახლეობას ჯგუფობით ჰგზავნიდნენ გერმანიის კატორღაში. ბევრი მცხოვრები გაექცა გერმანელებს და საბჭოთა ჯარების მისვლამდე ტყეებში იმალებოდა. სოფელ კრაინა ჩარნის მცხოვრები გლეხი, 67 წლის მოხუცი ივანე კრივკო მივიდა რუს მებრძოლთა ჯგუფთან, თავი დაუკრა მათ, გადაჰკოცნა თითეული და უთხრა: „გმადლობთ, ძმებო“. შემდეგ ივანე კრივკომ განაცხადა: „გერმანელმა ბანდიტებმა სახლი გადამიწვეს, წამართვეს მთელი პირუტყვი და პური, მე კი შვილებიანად დასავლეთისაკენ წამიყვანეს. გზაში გავექეცი გერმანელებს და ტყეებში ხეტიალის შემდეგ სოფელში დავბრუნდი. გული მიგრძნობს, რომ ჩემი შვილებიც დაბრუნდებიან ფაშისტური ტყვეობიდან“.

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობა ყოველმხრივ დახმარებას უწევს წითელი არმიის ნაწილებს.

## ბუდაპეშტში შექმნილი მდგომარეობის გამო

ტექსტი გერმანიის სარდლობის დაშიფრული დეპეშისა, რომელიც ა. წ. 9 იანვარს ხელში ჩაგვივარდა ქალაქ **ბუდაპეშტში**:

„სამი დღე-ღამის განმავლობაში თქვენი გადმოცემა **არ მესმის**. სასოწარკვეთილებაში ვიმყოფები, ვინაიდან მუდამ სიკვდილი მემუქრება. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ კავშირი არ გავწყვიტოთ. საშინელი მდგომარეობაა. **ოფენ შტოლილი პეშტში** რუსებმა ახალი რაიონები დაიკავეს. **რემხპლაცი** (მოედნის სახელწოდება), რომელზეც დატვირთული თვითმფრინავები ეშვებოდნენ, დაკავებულია.

უნგრეთის სარდლობამ **ხალაშის** გაუგზავნა ულტიმატუმი, რომ არა უგვიანეს დღევანდელი დღისა საჭიროა რაიმე ზომების მიღება, ვინაიდან მეტი გაძლება შეუძლებელია“.

## უკანასკნელი ცნობები

### დეკრეტი ფულის რეფორმის შესახებ პოლონეთის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე

**ლიუბლინი**, 11 იანვარი. (საკდესი). გუშინ ლიუბლინის გაზეთებში გამოქვეყნდა პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული დეკრეტი გერმანელი ოკუპანტების მიერ გამოშვებული ეგრეთწოდებული „კრაკოვის ზლოტის“ დემონირებისა და გამოცვლის შესახებ. დეკრეტში აღნიშნულია, რომ 1945 წლის 10 იანვრიდან „კრაკოვის ზლოტი“ აღარ იქნება გადახდის საშუალება ფულის ბრუნვაში პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და 1945 წლის 28 თებერვლამდე ერთდროულად და მთლიანად ჩაბარებულ უნდა იქნას ხაზინის დაწესებულებებსა ან საბანკო საწარმოებში. ფინანსთა მინისტრის მითითებით, ჩაბარებული „კრაკოვის ზლოტი“ შეცვლილი იქნება თანაბარი კურსით სახაზინო ბილეთებზე, რომლებსაც ექნებათ წარწერა „ნაროდოვი ბანკ პოლსკი“.

### მდგომარეობა საბერძნეთში

**ლონდონი**, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ათენიდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იმ მოლაპარაკების შედეგად, რაც ამჟამად ელასის წარმომადგენლებსა და გენერალ სკობის შორის სწარმოებს, შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის პირობების შესახებ მნიშვნელოვნად მიღწეულია.

**ლონდონი**, 11 იანვარი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ საბერძნეთში ინგლისელთა ჯარის კოლონები, ტანკები და ჯავშნიანი მანქანები წინ მიიწევენ. ინგლისელთა ერთი კოლონა მიუახლოვდა ქალაქ ლარიმნას, 90 კილომეტრზე ათენის ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო მეორე — კორინთის არხს. თვით ათენში და პირეის ნავსადგურში სიწყნარეა.

მოლაპარაკება გენერალ სკობისა და ელასის დელეგაციის შორის გრძელდება.

## ბრძოლები ბუდაპეშტში

ჰაიტმარის ქუჩაში გადაბრუნებული ტრამვაის ვაგონი დგას. სამუხრუჭე ბაქანს უკნიდან ამოჩრილია გერმანელთა ტანკსაწინააღმდეგო დამსხვრეული ზარბაზნის ლულა. საფეხურზე გადაკიდულია გერმანელი ობერლეიტენანტი, რომელსაც მკვდარი სახე ცისკენ მიუშვერია. ჰაერის ტალღამ გერმანელი ზურგით დააჯახა საფეხურს და ხერხემალი გადაუმტვრია.

ეს რამდენიმე წუთის წინათ მოხდა. მაგრამ ჩვენი ზარბაზანი, რომელმაც აქ ყუმბარა სტყორცნა, არტილერისტებმა უკვე გადაიტანეს სამ უბანს იქით. ახლა იგი ყუმბარებს სტყორცნის უფრო შორს, სადღაც კუთხეს იქით. მოლურჯო კურტაკიანი გაფითრებული გერმანელი კი, რომელიც გადაურჩა გერმანელი ობერ-ლეიტენანტის გამგმირავი ყუმბარის აფეთქებას, კუდამოძუებული გაექანა კუთხის სახლის სარდაფისაკენ და იქ დაიმალა, მაგრამ შეიპყრეს. შეშინებული გერმანელი უცებ ვერ ხვდება, რასაც ეკითხებიან.

— იცნობ ამ ოფიცერს?

— ვიცნობ,—მოისაზრა ბოლოს ჰიტლერელმა და უცბად ლაპარაკს მადა გაეხსნა, — ორი წლის განმავლობაში მის მორჩილებაში ვიყავი. იგი ცუდი მეთაური იყო. მისი სახელია კურტ ოფენბახი. იგი ხშირად მცემდა.

— რისთვის მიიღო მან ეს რკინის ჯვარი?

გერმანელი დააშტერდა მკვდრის მკერდზე დაკიდებულ რკინის ჯვარს და ყოყმანით წარმოსთქვა:

— ლენინგრადისათვის... 1943 წელს ობერ-ლეიტენანტი ლენინგრადთან იბრძოდა.

ასე მოვგიხდა ჩვენ, ლენინგრადელთა ჯგუფს, ალყაშემორტყმულ ბუდაპეშტში შევხვედროდით ერთ-ერთ მათგანს, ვინც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მონაწილეობდა ლენინგრადის ალყაში და უშენდა მას. ეს ეპიზოდი მეტად საგულისხმოდ გვეჩვენა. გარშემო კი ეყარა გვამები სხვა ჰიტლერელებისა, მათი, ვინც ყოფილა სმოლენსკში, სევასტოპოლში, პარიზში. თვითეული მათგანის თავგადასავალი დამთავრდა ამ დილას ბუდაპეშტის ორი ქუჩის ერთსა და იმავე შესაყარზე, ქუჩებისა, რომლებითაც ჩვენი მებრძოლები გამარჯვების ძნელ გზას იკაფავენ.

ეს ქუჩები დღეს უკვე ზურგი ხდებიან. ომი ბობოქრობს შემდგომ უბნებში, უფრო და უფრო შორდება ჩვენ მიერ მტკიცედ დაკავებულ რაიონებს.

კაპიტან დეკალის მოიერიშე ჯგუფის მებრძოლები სახლებში იჭრებიან ქვიტკირის სქელ კედლებში შენგრეული ნაპრალებით, იერიში მიაქვთ ბინებზე და ქუჩების შესაყარებზე, რომლებზედაც ბარიკადებია აღმართული.

ერთ-ერთ გზაჯვარედინზე გერმანელებმა ხანგრძლივი შეტაკების შემდეგ უკან დაიხიეს და შენობებს შეაფარეს თავი. მაგრამ, როგორც კი ჩვენი მებრძოლები ბარიკადს იქით გამოჩნდნენ, ორი მომიჯნავე უდაბური ქუჩიდან გრიალით გამოვარდა გერმანელთა ორი ტანკი და ხუთი ჯავშანტრანსპორტიორი. კაპიტანმა დეკალომ გასცა ბრძანება:

„გრანატები ბრძოლისათვის!“

მან სწრაფად მოათავსა მებრძოლები სანგრებში და უბრძანა ქვემეხის გუნდის მეთაურს სერჟანტ ზემჩენკოს ბარიკადის იქიდან პირდაპირი დამიზნებით დაეშინა მტრისათვის. და ვიდრე გერმანელები ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანს შეამჩნევდნენ, ზემჩენკომ მათ სროლა აუტეხა. პირველი ორი ყუმბარით მან დააზიანა ტანკი, ხოლო შემდეგი ყუმბარებით ორი ჯავშანტრანსპორტიორი. ჯგუფის მებრძოლები საფრებიდან ამოხტნენ და ჯავშანტრანსპორტიორებიდან გადმომხტარ ფაშისტებს გრანატები დააყარეს. გადარჩენილი ჰიტლერელები გაიქცნენ, მაგრამ მათ ეწეოდა ჩვენი მეავტომატეების ცეცხლი.

ამავე დროს რიგითი მებრძოლი მილოვიდოვი, რომელიც გადაბრუნებულ კიოსკს იყო ამოფარებული, დაზგის ტყვიამფრქვევს უშენდა მესამე ჯავშანტრანსპორტიორს. ვიდრე მტრის მანქანის მძღოლი მოაბრუნებდა მანქანას, რომ იგი ცეცხლიდან გაეყვანა, გერმანელები ასფალტზე გადმოხტნენ და იერიში მიიტანეს ჯგუფის მებრძოლებზე. მილოვიდოვი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ განაგრძობდა სროლას. რამდენიმე ჰიტლერელმა სარდაფში ჩაირბინა; ისინი ერთი ფანჯრიდან მეორესთან მირბოდნენ და იქიდან გრანატებს ესროდნენ ჩვენს მებრძოლებს.

ოცეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა რეშეცკამ დაინახა, რომ გერმანელები კაპიტან დეკალს უახლოვდებოდნენ, გზა გადაუჭრა მათ იმ მომენტში, როცა ერთმა ჰიტლერელმა კაპიტანს გრანატი ესროლა, და თავისი სხეულით დაიფარა მეთაური. გრანატი აფეთქდა. დეკალო უვნებლად გადარჩა.

როცა გერმანელთა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა, მებრძოლებმა დაინახეს, რომ მეტყვიამფრქვევე მილოვიდოვი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა, მძიმე ჭრილობისაგან მომკვდარიყო, მაგრამ მკვდარსაც მაგრად ეჭირა თავისი ტყვიამფრქვევის სახელური.

ასე იბრძვიან ჩვენი მეომრები ბუდაპეშტის ქუჩებში. სახლები, უბნები, ქუჩები, რაიონები ზედიზედ გადმოდიან ჩვენს ხელში.

ჩვენი ჯარები თანდათანობით ავიწროებენ რკალს გერმანელ-უნგრელთა დაჯგუფების გარშემო. მათ მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ათასზე მეტი უბანი, ბრძოლებით დაიკავეს ქალაქის რაიონები კაპოსტაშმედიერი, უიპეშტი, რაკოშპალოტა, პალოტაუიფალუ, პეშტუიხელი, კიშპეშტი, კოშუტფალვა, დიდი საქარხნო რაიონი ჩეპელი და კუნძული ობუდაი გემსაშენებიანად.

პავლე ლუკნიცკი

ბუდაპეშტის რაიონი, 10 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.).

## მფრინავმა შჩერბინამ ერთ დღეს მტრის 2 თვითმფრინავი ჩამოაგდო

**მოქმედი არმია**, 11 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). უფროსმა ლეიტენანტმა შჩერბინამ დღის განმავლობაში ორი საჰაერო ბრძოლა გადაიხადა და თითეულ ბრძოლაში თითო თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-190“ ჩამოაგდო.

„იაკოვლევთა“ ოთხეული, რომელიც უფროს ლეიტენანტ შჩერბინას მიჰყავდა, მოიერიშეთა ჯგუფს იფარავდა საომარი მოქმედების რაიონში. შჩერბინა ყურადღებით უთვალთვალებდა ჰაერს და შეამჩნია „ფოკე-ვულფ-190“ მარკის თვითმფრინავთა ჯგუფი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან მოდიოდა. შჩერბინამ თავის ჯგუფს ბრძანება გადასცა და მოწინააღმდეგის შესახვედრად მოამზადა. თავისი თვითმფრინავი მან მტრის ჯგუფის წამყვანისაკენ მიმართა. მაგრამ მტერმა მოახერხა საცეცხლე ტრასისათვის თავის არიდება და თავის მხრივ იერიში მიიტანა შჩერბინას ჯგუფის ერთ-ერთ თვითმფრინავზე. მკვეთრი მანევრის შემდეგ შჩერბინა მტრის თვითმფრინავს ბოლოში მოექცა, ახლო დისტანციიდან დაუყარა ჯერი ფაშისტს და დაცხრილა იგი.

ამ ბრძოლის სამი საათის შემდეგ შჩერბინა კვლავ იფარავდა უბანს, სადაც ჩვენი ჯარები მოქმედებდნენ. იგი მტრის ორ ავიაგამანადგურებელს შეხვდა, გულადად მიიტანა იერიში წამყვანზე და ჩამოაგდო.

კაპიტანი ა. ბრიშინი

## „მედიკულოვის ზღუდე“

**მოქმედი არმია**, 11 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). იმ პოზიციებზე, ნ ნაწილის მსროლელები რომ იცავენ, არის პატარა ქვიშნარი ბორცვი, რომელიც აქ ცნობილია „მედიკულოვის ზღუდის“ სახელწოდებით. ასე უწოდეს მას იმ გმირობის აღსანიშნავად, რაც დაზგის ტყვიამფრქვევის მემიზნემ გვარდიის სერჟანტმა მედიკულოვმა ჩაიდინა.

ეს, ასე მოხდა.

მტრის ქვეითების ჯგუფმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. სერჟანტ მედიკულოვის დაზგის ტყვიამფრქვევი ქვიშნარ ბორცვზე იდგა. როგორც კი გერმანელები თავიანთი სანგრებიდან ამოცვივდნენ, ტყვიამფრქვევმა სროლა გააჩაღა. ჰიტლერელებს იერიში მოჰქონდათ მცირე ჯგუფებად ხან ერთ, ხან მეორე ადგილას და ცდილობდნენ შემოეღწიათ ჩვენი პოზიციების განლაგებაში. მაგრამ მეტყვიამფრქვევე გვარდიელები მუდამ აიძულებდნენ მათ ჩაწოლილიყვნენ.

შემდეგ მოწინააღმდეგემ სამჯერ მოიტანა იერიში მთელი ჯგუფის ძალებით. რამდენიმე ათეული ჰიტლერელი საცეცხლე პოზიციას მოუახლოვდა, ქვიშნარ ბორცვებს ეფარებოდა და გვარდიელების ზღუდისაკენ მოხოხავდა. მედიკულოვმა გრანატები გამოიყენა. გერმანელები გაიქცნენ. მედიკულოვმა კვლავ გააჩაღა ტყვიამფრქვევის ცეცხლი. მოწინააღმდეგის მესამე იერიში ჩაიფუშა, ისევე როგორც წინანდელი იერიშები.

მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგემ საწყის პოზიციებზე დაიხია უკან და ბრძოლა დამთავრდა, ჩვენმა მებრძოლებმა გვარდიული ტყვიამფრქვევიდან რამდენიმე ათიოდე ნაბიჯზე მტრის 16 გვამი აღმოაჩინეს.

## უკრაინის დასავლეთ ოლქების მასწავლებელთა თათბირი

ლვოვში დამთავრდა უკრაინის დასავლეთ ოლქების მასწავლებელთა პირველი თათბირი, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ლ. რ. კორნიეცმა, დ. ზ. მანუილსკიმ და სხვებმა.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო განათლების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ს. ხ. ჩაედაროვი.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა, — ამბობს მომხსენებელი, — უკრაინის სახალხო განათლებას უდიდესი ზიანი მიაყენეს. დამწვარი და დანგრეულია ათასობით სკოლა, მოსპობილია მოწყობილობა, სასწავლო სახელმძღვანელოები. მრავალი ათასი მასწავლებელი დახვრიტეს, წამებით დახოცეს, გერმანიის კატორღაში გაირეკეს.

ამჟამად სწრაფი ტემპებით სწარმოებს განთავისუფლებული რესპუბლიკის კულტურის აღორძინება. მასწავლებლები მოსახლეობის აქტიური დახმარებით ერთსულოვნად აღადგენენ სკოლებს. მილიონობით ბავშვი კვლავ მიუსხდა პარტებს და განაგრძობს ნორმალურ სწავლას. უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული უკრაინის დასავლეთ ოლქებში სკოლების აღსადგენად და სახალხო განათლების ორგანიზაციისათვის.

მოხსენებით „უკრაინელ-გერმანელი ნაციონალისტები ფაშისტ დამპყრობთა სამსახურში“ გამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დ. ზ. მანუილსკი.

მასწავლებლებმა ილაპარაკეს ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი ლაქიების — უკრაინელ-გერმანელ ნაციონალისტთა საზარელი მხეცობის შესახებ. ისინი სიამაყით აღნიშნავდნენ დიდ აღდგენით მუშაობას, რაც ამჟამად სწარმოებს უკრაინის ყველა დასავლეთ ოლქში.

უდიდესი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა მისალმება უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისადმი. (საკდესი).

## მოგებათა ორი ტირაჟი

10 იანვარს მოსკოვში შესდგა მოგებათა ორი ტირაჟი — მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) 34-ე ტირაჟი და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის 29-ე ტირაჟი. (საკდესი).

# საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ ბუაჩიძე თბილისში

თბილისში ფრონტიდან ჩამოვიდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის უფროსი სერჟანტი გრიგოლ მიხეილის-ძე ბუაჩიძე.

მრავალი ბრძოლა გადახდა მამაც მეომარს. საბრძოლო ნათლობა მან ჯერ კიდევ თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო. დიდ სამამულო ომში პირველი დღეებიდანვე მონაწილეობს. ახალგაზრდა პატრიოტმა დროებითი წარუმატებლობის და უკანდახევის სიმწარეც გამოსცადა და გამარჯვებული წინსვლის სიტკბოებაც. ჟიტომირთან ჩაება იგი ბრძოლაში. ჩვენი მეომრები მაშინ საშინელი ბრძოლებით ქანცავდნენ და ანადგურებდნენ გერმანელ ფაშისტ არამზადებს, რომლებიც თავიანთი დაღუპული ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებზე მოაბიჯებდნენ. ამ ბრძოლებში ბუაჩიძის ქვემეხი ცოტა ზარალს როდი აყენებდა მტერს.

გრიგოლ ბუაჩიძე მონაწილეა იმ გმირული ბრძოლისა, რომელიც სტალინის ქალაქის კედლებთან გაჩაღდა. გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები ლამობდნენ გარს შემორტყმოდნენ ქალაქს და დაეპყროთ იგი. სტალინგრადის მისადგომებთან კრასნოარმეისკთან და ბეკეტოვკასთან მტერი შეაჩერა იმ ნაწილმა, რომელშიც ბუაჩიძე იბრძოდა. ამ ბრძოლებში ბუაჩიძემ თავისი ქვემეხით 3 ტანკი გაანადგურა. აქ მან დაიმსახურა წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“.

სტალინგრადი მზის ჩასვენება იყო ფაშისტთა არმიისათვის. აქედან დაიწყო ის ძლევამოსილი შეტევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჩვენი სამშობლოს სრული განთავისუფლება და საომარი მოქმედების გადატანა მტრის ტერიტორიაზე. ამ შეტევის უშუალო მონაწილეა გრიგოლ ბუაჩიძე.

სევერნი დონეცზე ბრძოლების დროს მამაცი არტილერისტი დაჭრა, მაგრამ განკურნებისთანავე კვლავ თავის ნაწილს დაუბრუნდა.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბუაჩიძემ დნეპრის გადალახვის დროს. მტრის საშინელი ცეცხლის მიუხედავად, მან გადაიტანა თავისი ქვემეხები მდინარის მეორე ნაპირზე და გადასვლისთანავე ბრძოლა გაუმართა მტერს. ჰიტლერელები ცდილობდნენ გაენადგურებინათ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადასული მამაცთა ჯგუფი. ქვემეხის გუნდი გამოყვანილ იქნა მწყობრიდან. ბუაჩიძე მარტო დარჩა. იგი ასრულებდა მთელი გუნდის მოვალეობას და არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია სროლა. მეორე დღეს, როდესაც მათს პოზიციაზე 20 ტანკმა მოიტანა იერიში, არტილერისტების მძლავრმა ცეცხლმა აიძულა მტერი უკან დაეხია და ბრძოლის ველზე დაეტოვებინა 11 დამწვარი ტანკი. აქედან ორი ტანკი ბუაჩიძის ქვემეხმა გაანადგურა.

დნეპრის გადალახვის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის გრიგოლ ბუაჩიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

უკრაინაში ბრძოლების დროს იყო ასეთი შემთხვევა: გერმანელებმა ვიწრო უბანს 30 ტანკი მოაყარეს. „ვეფხვები“ და „ფერდინანდები“ ორ კოლონად მოდიოდნენ. საბჭოთა არტილერისტებმა 800 მეტრზე მოუშვეს მტრის ტანკები და შემდეგ გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს. საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ ბუაჩიძის ქვემეხის გუნდმა ამ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა ორი ტანკი, ერთი საწევარი და ერთი თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი“

ბუაჩიძე მონაწილეა აგრეთვე იმ სახელოვანი ბრძოლებისა, რომლებსაც ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ გერმანელთა იასი-კიშინიოვის დაჯგუფების სალიკვიდაციოდ. ჩვენი ჯარების შეტევის პირველსავე დღეს ბუაჩიძის ოცეულმა 320 ყუმბარა ესროლა მტერს. ბატარეამ, რომელშიც ბუაჩიძე იბრძოდა, მტრის თავდაცვის წინაკიდის გარღვევის შემდეგ წინ წაიწია 10 კილომეტრით და მტერს ზურგში მოექცა. დასახლებულ პუნქტ ანეშტისთან ბატარეამ სიმინდის ყანაში დაიკავა პოზიცია. მის მახლობლად ტყეში გერმანელები იყვნენ გამაგრებულნი. როგორც კი განლაგდნენ ჩვენი მებრძოლები, მათ თავს დაესხა გერმანელთა ჯგუფი. თვალის დახამხამებაში არტილერისტები მოემზადნენ სასროლად. პირველსავე გასროლით ბუაჩიძის ქვემეხმა რამდენიმე გერმანელი დასცა ძირს. იერიში მოგერიებულ იქნა.

ერთი კვირის განმავლობაში იყვნენ ჩასაფრებულნი სიმინდში მამაცი გვარდიელები. მტერი ტყეში იმალებოდა. არტილერისტები ხშირად აწყობდნენ თრიცებზე „ნადირობას“. ოცეულმა კვირის განმავლობაში გაანადგურა 50-მდე და ტყვედ წამოიყვანა 96 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ასე ბრძოლებით გაიარა ბუაჩიძემ ჩრდილოეთი ტრანსილვანია, გადალახა კარპატები და შეაღწია უნგრეთს.

მდინარე ტისის გადალახვის დროს ბუაჩიძის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ასეულმა გაანადგურა მტრის 3 სატყვიამფრქვევო წერტი, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩვენი ჯარების გადასვლას მდინარეზე, ორი ჯავშანტრანსპორტიორი და მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი.

აი ბუდაპეშტიც. ბუაჩიძე უშუალო მონაწილეა ამ ქალაქში მყოფი გერმანელი და უნგრელი ჯარების გარშემორტყმისა. დეკემბრის პირველ რიცხვებში ქალაქიდან 35 კილომეტრის მანძილზე გერმანელთა მიერ გამაგრებული თავდაცვითი ხაზის გარღვევის დროს მან მარტო ერთ დღეს 190 ყუმბარა სტყორცნა მტრის განლაგებას.

თვით ქალაქ ბუდაპეშტისათვის ბრძოლა რომ დაიწყო, ბუაჩიძემ იმ დღეს 200 ყუმბარა დააყარა ქალაქში ჩასაფრებულ ფაშისტებს.

— მე კვლავ დავბრუნდები ჩემს ნაწილში,— ამბობს ბუაჩიძე, — რათა ვანადგურო მტერი მისსავე ტერიტორიაზე. ამაზე ვოცნებობდით ჩვენ სამამულო ომის დაწყების დღიდან. ახლა ოცნება გვისრულდება. ახლოა ჩვენი სრული გამარჯვების ჟამი.

საბჭოთა კავშირის გმირ გვარდიის უფროს სერჟანტ გრიგოლ ბუაჩიძეს ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გარდა, მკერდს უმშვენებს წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენები, მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“, ნიშანი „წარჩინებული არტილერისტი“ და გვარდიელის ნიშანი.

**ნინო. მშველიძე**

# რატომ ჩამორჩა ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები

სტალინის სახელობის ოჩხამურის ორდენოსანმა საბჭოთა მეურნეობამ ჩაის გადაბარვა ვადამდე 10 დღით ადრე დაამთავრა. ჩაის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში და სოფელ ჩაისუბნის ლენინის, სოფელ ხალის სტახანოვის, სოფელ ზედა-კვირიკეს წითელი არმიისა და სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩაის ბუჩქის მოვლის დარგში ნაკლი არ იყოს. ქობულეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში წესიერად არ ჩაუტარებია პლანტაციების გადაბარვა-განოყიერება. ამან კი ჩაის ფოთლის მოსავალი შეამცირა. ამჟამად ამ კოლმეურნეობაში ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. გადაბარვის სიღრმე 20-25 სანტიმეტრის ნაცვლად 13-15 სანტიმეტრს არ აღემატება. გადაბარვის წინ პლანტაციებში მინერალური სასუქი საკმაო რაოდენობით არ შეაქვთ. კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა. მაგალითად, პირველ ბრიგადაში 22 დეკემბერს დილის 10 საათზე მხოლოდ ორი კაცი მუშაობდა გადაბარვაზე, რამდენიმე კაცი კიდევ უფრო გვიან გამოვიდა, ხოლო ბრიგადის წევრთა უმრავლესობას ამ დღეს სრულებით არ უმუშავნია.

სოფელ ქვედა კვირიკეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეორე და მესამე ბრიგადებში არის ჩაის ისეთი პლანტაციები, რომლებიც ტყით არის დაფარული. აქ 1943-44 წლებში პლანტაციები არ გაუთოხნიათ და არც გადაუბარავთ. კოლმეურნეობის გამგეობა ნაკლებად ზრუნავს ჩაის პლანტაციების მოვლისათვის. ამ ბოლო დროს პლანტაციების გადაბარვა დაიწყეს, მაგრამ ზოგჯერ აგროწესებს არღვევენ, თანაც ტემპები დაბალია.

ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების ხარისხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქობულეთის ტელმანის სახელობის, სოფელ ქვედა სამების ლენინის სახელობის, სოფელ ლელვას ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობებში.

სერიოზული ჩამორჩენაა სადრენაჟო ქსელის შეკეთების დარგში: 947.400 გრძივი მეტრის ნაცვლად შეკეთებულია 45.500 მეტრი.

რას იტყვის ქობულეთის რაიმიწგანი?

**თ. ტრაპაიძე**

# დავნერგოთ ე. აგარკოვის გამოცდილება ტყიბულის შახტებში

**ტყიბული** („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ტანკმშენებელ ეგორ აგარკოვის ინიციატივას, რომელიც ელვის სისწრაფით მოედო მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობის თითქმის ყველა დარგს, ტყიბულში ჯერ არავითარი გამოძახილი არ უპოვნია. შახტების სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები რატომღაც ჯერჯერობით ჯეროვნად უვლიან ფრონტული ბრიგადების მუშაობაში ამ მნიშვნელოვანი სიახლის შეტანას — ფრონტული ბრიგადების გამსხვილებას და ამით მაღალკვალიფიციური კადრების სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად განთავისუფლებას.

ე. აგარკოვის მავალითისამებრ ელექტრომექანიკურ სახელოსნოში შესაძლებელია ბრიგადების გამსხვილება. შეიძლება ამ გამოცდილების დანერგვა შახტებშიც. სანგრევს ცვლაში ემსახურება ერთი ამფეთქებელი და მნგრეველი. შესაძლებელია, რომ ამფეთქებელი აწარმოებდეს ქვანახშირის ნგრევასაც. უნდა შევნიშნოთ, რომ ქვანახშირის მთელ რიგ დიდ სამრეწველო რაიონებში და შახტებში ეს ძვეცაა. ამ წინადადების განხორციელებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ შახტებში მრავლად მოიპოვებიან ისეთი მუშები, რომლებიც დაუფლებული არიან ორივე ამ პროფესიას.

ტყიბულის შახტებში და საწარმოებში ე. აგარკოვის გამოცდილების დანერგვა კარგ ეფექტს მოგვცემს. საჭიროა არ დავაგვიანოთ ეს საქმე.

**დ. ქათამაძე**

# დეპეშები

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი,** 11 იანვარი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

არდენის შვერილის ჩრდილოეთ ფლანგზე მოკავშირეთა ჯარებმა გასწმინდეს მდინარე სალმის დასავლეთი ნაპირი სალმ-შატომდე სამხრეთით.

უფრო დასავლეთით მოკავშირეთა ნაწილები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის დევნას, რომელიც უკან იხევს. დაკავებულია ხოდისტერი; მოკავშირეთა პატრულები ლაროშ-მარშის გზას მიადგნენ. მარშის სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს მდინარე ომმი და დაიკავეს ამბლი. მოწინააღმდეგე აქ სუსტ წინააღმდეგობას გვიწევს.

არდენის შვერილის სამხრეთ ფლანგზე გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაკავებულ იქნა ტილიე. მოკავშირეებმა მიაღწიეს ბასტონის ჩრდილოეთით 4½ მილზე მდებარე პუნქტებს და დაიკავეს რეკონი.

ბასტონის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე სექტორში მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ვილერ-ლა-ბონ-ო და არლანჟი. უფრო აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ბერლე. ჩვენმა ნაწილებმა დაატოვებინეს ფლამიერჟი.

1.100-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი 300 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს ესხმოდა ხიდებს, დამხარისხებელ სადგურებსა და აეროდრომებს დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე გზატკეცილების ხიდებსა და გზატკეცილების კვანძებს გერმანია-ბელგიის საზღვარზე, არდენის შვერილის ფუძესთან.

საარბრიუკენის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა დასძლიეს მტრის უმნიშვნელო წინააღმდეგობა და ჰეტინგენში შევიდნენ. ერთგვარი წარმატება მიღწეულია აგრეთვე მტრის სოლის აღმოსავლეთ მხარეზე ქვემო ვოგეზებში.

რაინის ხეობაში, გაგენაუს ტყის ჩრდილოეთით (სტრასბურგის ჩრდილოეთით) გრძელდება ბრძოლები გატენში, სადაც მოწინააღმდეგის შემტევ ძალებს 10 იანვარს უკან დაახევინეთ.

ელზასის ვაკეზე მოგერიებულია მოწინააღმდეგის იერიშები სტრასბურგსა და კოლმარს შუა.

**ლონდონი,** 11 იანვარი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 და მე-8 არმიების ნაწილების ოპერაციები კვლავ პატრულთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

## რუზველტისა და ჩერჩილის ერთობლივი განცხადება წყალქვეშა ომის მიმდინარეობის შესახებ

**ლონდონი,** 10 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დეკემბერში წყალქვეშა ომის მიმდინარეობის შესახებ რუზველტისა და ჩერჩილის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია:

„1944 წლის დეკემბერში გერმანელთა წყალქვეშა ომმა ახალი ძალით იფეთქა. ეს მხოლოდ ახალი დადასტურებაა იმისა, რომ ევროპის ომი ჯერ სრულიადაც არ დამთავრებულა. ოფიციალურად რეგისტრირებულია, რომ გასულ თვეში მტრის წყალქვეშა ნავების აქტივობის გაძლიერების შედეგად მოკავშირეთა სავაჭრო ფლოტის გემების დანაკლისი გაიზარდა. ამის მიუხედავად, გაერთიანებული ერები კვლავ შეუფერხებლად ამარაგებენ მთელ მსოფლიოში გაფანტულ თავიანთ არმიებს და საშუალებას აძლევენ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ თავდამსხმელთ ან შეუტიონ მტერს. მოკავშირეები განაგრძობენ მტრის წყალქვეშა ნავების ჩაძირვას ატლანტის ოკეანის სხვადასხვა ნაწილებში. ცნობა ამ ცოტა ხნის წინათ წყალქვეშა ნავიდან მენის შტატის სანაპიროზე მტრის აგენტების გადასხმის შესახებ კვლავ იმას მოწმობს, რომ საფრთხე გერმანიის წყალქვეშა ფლოტის მხრივ ახლაც რეალურია“.

## მდგომარეობა საბერძნეთში

**ლონდონი,** 10 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ინგლისელთა ჯავშანსატანკო კოლონამ მიაღწია ლევადიას 70 მილზე ათენის ჩრდილო-დასავლეთით. ინგლისელთა პატრულმა, რომელიც ქალაქში შევიდა, ნახა, რომ პარტიზანებს იგი დაუტოვებიათ. ინგლისელთა მეორე კოლონამ, რომელიც თებედან ჩრდილო-აღმოსავლეთით მიიწევს, ქალკიდიდან 4 მილზე იმყოფება.

**ლონდონი,** 10 იანვარი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ გუშინ გენერალმა სკობიმ მიიღო ეამის ოთხი დელეგატი.

ათენის სამხედრო გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ ათენისა და პირეის მოსახლეობას აეკრძალა სახლიდან გამოსვლა საღამოს, აგრეთვე, რომ ათენში შემოსული ან ქალაქიდან გასული მთელი ტრანსპორტი გაჩხრეკილ იქნება.

**ლონდონი,** 10 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ათენიდან იუწყება:

„აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ეამის წარმომადგენლები გენერალ სკობისთან მივიდნენ არა იმისათვის, რომ რაიმე წინადადებანი წარედგინათ, არამედ იმისათვის, რომ სკობისაგან მიეღოთ დროებითი ზავის პირობები და დათანხმებოდნენ მათ ეამის ცენტრალური კომიტეტის სახელით, თუ ამას შესაძლოდ სცნობდნენ“. ეამის წარმომადგენლებმა ღამე გაატარეს სასტუმროში, ინგლისელთა სარდლობის ბანაკის ახლოს. მოლაპარაკება დღეს განახლდა.

## ბრძოლები იუგოსლავიაში

**ბელგრადი,** 10 იანვარი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ აღმოსავლეთ ბოსნიაში, ჩელიჩკორაის სექტორში, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. მთიან რაიონ ოზრენში იუგოსლავიელთა ნაწილები წარმატებით სწმენდენ ტერიტორიას მოწინააღმდეგის ჯარების ნაშთებისაგან.

ბრძოლები გრძელდება ვლასენიცის სექტორში. მდინარე ბოსნის ხეობაში, ზენიცა — ვისოკო — ტარჩინის სექტორში გერმანელთა ნაწილები ამ უკანასკნელ ორ დღეში ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ ტრავნიკისაკენ. იუგოსლავიელთა ნაწილებმა მოიგერიეს გერმანელთა ყველა იერიში, წინ წაიწიეს და დაიკავეს მტრის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი კრეშევო.

## დანიელ პატრიოტთა გაბედული ოპერაცია

**სტოკჰოლმი,** 10 იანვარი. (საკდესი). შვეციის რადიო იუწყება, რომ სტოკჰოლმის დანიელთა წრეების მიერ მიღებული ცნობებით, ამ დღეებში დანიელ პატრიოტთა ჯგუფმა გაბედული თავდასხმა მოახდინა ცენტრალურ საფოსტო სადგურზე კოპენჰაგენში. პატრიოტებმა თან წაიღეს რამდენიმე ტომარა კორესპონდენცია, რაც განკუთვნილი იყო გესტაპოს მთავარი ბინისა და მის სხვა დაწესებულებათათვის დანიაში, აგრეთვე საბაჟოს სამმართველოსათვის. ერთ-ერთ საფოსტო ტომარაში იპოვეს დანიის ნაციონალური ბანკის მიერ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრძანებით ვინმე დ-რ ბეკის სახელზე გამოწერილი 250.000 კრონის ჩეკი.

სტოკჰოლმის დანიელთა წრეებში აცხადებენ, რომ საფოსტო ტომრებში ნაპოვნი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები ცალკე წიგნად გამოიცემა დანიაში არალეგალურად.

## ამერიკელთა ჯარების გადასხმა კუნძულ ლუსონზე

**ლონდონი,** 10 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბის ცნობას იმის შესახებ, რომ 9 იანვარს დილით ამერიკელთა ჯარები კომბინირებული ოპერაციების შედეგად გადასხდნენ კუნძულ ლუსონზე (ფილიპინების მთავარი კუნძული). შექმნილია ოთხი ხიდწინა სიმაგრე ლინგაიენის ყურის სანაპიროზე, 120 მილზე მანილის (ფილიპინების მთავარი ქალაქი), ჩრდილო-დასავლეთით. სადესანტო ოპერაციებს იფარავდა ხომალდების ცეცხლი და დაბომბვა ჰაერიდან. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია იაპონელთა 79 თვითმფრინავი, ერთი წყალქვეშა ნავი, 2 საესკადრო ნაღმოსანი და ბევრი საკაბოტაჟო გემი. იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონელებს მოუმზადებელთ მიუსწრეს, ამჟამად იაპონელთა ზურგში მყოფი ამერიკელთა სადესანტო ჯარების ზარალი უმნიშვნელოა. გადაჭრილია ძირითადი ხაზები, რომლებითაც იაპონელთა ჯარებს მაშველი ძალები და საჭურველი მისდიოდათ.

## საბჭოთა ქონების დაბრუნება რუმინეთიდან

**ბუქარესტი,** 10 იანვარი. (საკდესი). გრძელდება რუმინელი ოკუპანტების მიერ დატაცებული საბჭოთა ქონების დაბრუნება სსრ კავშირში. ამა წლის იანვრის პირველ სამ დღეს სსრ კავშირში გამოგზავნილია 248 ვაგონი სამრეწველო მოწყობილობა, პირუტყვი და სხვადასხვა მასალა. საბჭოთა ქონებას, რომელიც რუმინელთა ხელში დაზიანდა, სსრ კავშირში დაბრუნებამდე რემონტს უკეთებენ. მაგალითად, 31 დეკემბრიდან 3 იანვრამდე შეკეთებულ იქნა 397 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

მაგრამ ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ შეუწყვეტიათ ცდა გადამალონ სსრ კავშირიდან გაზიდული საბჭოთა ქონება. 6 იანვარს ხელისუფლებმა აღმოაჩინეს სსრ კავშირში ნაძარცვი საქონლის საწყობები. ამ საწყობებში აღმოჩნდა 13 ვაგონი შაქარი, 400 ავზი საავიაციო ზეთი, 11 ტონა მარცვლეული, პარკოსანი კულტურები და სხვა ქონება.

## იაპონიის პრესა იაპონიაში გადასახადთა გადიდების შესახებ

**ტოკიო,** 11 იანვარი. (საკდესი). იაპონიის საინფორმაციო ბიურომ ამ დღეებში ცნობა გადასცა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა გაადიდოს გადასახადები დაახლოებით 1 მილიარდ 800 მილიონი იენით წელიწადში. გადასახადთა გადიდების ხარჯზე სახელმწიფოს შემოსავალი 20 პროცენტით გაიზრდება.

გაზეთი „ასახი“ სწერს, რომ ახალი დებულება გადასახადთა შესახებ მნიშვნელოვნად ეხება მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას. გადასახადები სწრაფად იზრდება. მაგალითად, პირადი შრომის შემოსავლის გადასახადი 1944 საფინანსო წელს 50 პროცენტით მეტი იყო, ხოლო მიმდინარე წელს 80 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე 1943 წელს. გაზეთი „ნიპონ სანგიო“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ გადასახადთა ხშირი გადიდება პირველი საჭიროების საქონლის ფასების ზრდასთან ერთად აუცილებლად დაარღვევს მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების სიმტკიცეს.

## სასურსათო სიძნელეთა ზრდა გერმანიაში

**სტოკჰოლმი,** 11 იანვარი. (საკდესი). ჰიტლერული პროვინციული პრესა იუწყება, რომ გერმანიაში იზრდება სასურსათო სიძნელენი იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიამ დაკარგა მის მიერ წინათ ოკუპირებული მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონები აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა შეიქმნა საკვების მხრივ. ჰიტლერულ ჟურნალ „დოიჩე ფოლკსვირტშაფტის“ ცნობებით, 1945 წელს საკვების დეფიციტი 3 მილიონ ტონას მიაღწევს. ჰიტლერული გაზეთები მოუწოდებენ გერმანელ გლეხებს გასწიონ საკვების სასტიკი ეკონომია და მკვეთრად შეამცირონ ღორების სულადობა და შინაური ფრინველის რაოდენობა. გერმანიაში გამოცემულია კანონი წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა და ფრინველის შენახვის საზღვრითი ნორმების შესახებ. მისი დამრღვევნი სასტიკად იქნებიან დასჯილნი, ხოლო ზედმეტი პირუტყვი და ფრინველი კონფისკებული იქნება.

# მარიამ მეკრავიშვილი

(კასპი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სოფელი ქვემო გომი განთქმულია თავისი მშვენიერი ბაღ-ვენახებით. ამ სოფელში ზამთრის სუსხიან დილას ვეწვიეთ გმირ დედას მარიამ მეკრავიშვილს.

მარიამი 60 წლისაა. მის სახეზე უდიდესი სიხარული და კმაყოფილება გამოისახა, როდესაც „გმირი დედის“ წოდების მინიჭება მივულოცეთ.

— 16 წლისა ვიყავი, როდესაც ქვემო გომში მცხოვრებ სანდრო მეკრავიშვილს მივთხოვდი, — გვიამბობს მარიამი. — ეს იყო 18[illegible] წელი. მე მეგონა, იმ დროს მარტო მამაჩემი ცხოვრობდა ღარიბად, მაგრამ გათხოვების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასე არ იყო: ჩემი ქმარი სანდრო ხელმოკლე და გაჭირვებული ოჯახის პატრონი აღმოჩნდა. შვილები რომ გვეყოლა, ცხოვრება უფრო ძნელი შეიქმნა. დილას ქმართან ერთად მივდიოდი მინდვრად სამუშაოდ და პატარა ბავშვებიც თან მიმყავდა, რადგან სახლში ბავშვების მომვლელი არავინ მყავდა.

როცა უფროსი ბავშვები წამოიზარდნენ, ცოტა შეღავათი მოგვეცა. გოგოები გვეხმარებოდნენ თოხნაში და ვენახის დამუშავებაში, ხოლო უმცროსი ვაჟი საქონელს მწყემსავდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სარჩოს ძლივს ვშოულობდით; მაგრამ გულს არ ვიტეხდი, ვგრძნობდი, რომ ამაგი ოდესმე დამიფასდებოდა. ასეც მოხდა. — ამთავრებს თავის ნაამბობს მარიამი.

სოფელში კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, მარიამი ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა მისი წევრი. კოლმეურნეობაში შესვლის დღიდან მისი ოჯახის ყველა შრომისუნარიანმა წევრმა თავგამოდებით იწყო მუშაობა. ოჯახი ბარაქით აივსო.

დაიწყო სამამულო ომი. სამშობლო დაცვას მოითხოვდა, და მეკრავიშვილის ოჯახმაც ხუთი ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცი გაგზავნა ფრონტზე. უმცროსი ვაჟი ნიკოლოზი კი ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანაში წავიდა სამუშაოდ.

უფროსმა შვილმა დათიკომ მონაწილეობა მიიღო ქერჩისა და კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში. სპირიდონი ჯერ კიდევ თეთრფინელთა წინააღმდეგ იბრძოდა და ამჟამადაც სამამულო ომის ფრონტზე იმყოფება. გიორგი ლეიტენანტია, კავკასიის დაცვისათვის იბრძოდა. შალვა სტალინგრადის დაცვის, ხოლო ვლადიმერი მოსკოვის დაცვის მონაწილეა. მარიამის ქალები გათხოვილი არიან და კოლმეურნეობებში მუშაობენ.

ამჟამად მეკრავიშვილების ოჯახში დარჩენილი არიან მოხუცი სანდრო და მარიამი თავიანთი რძლებით და 15 შვილიშვილით. ფრონტებზე შვილების ბრძოლას სანდრო გმირული შრომით უპასუხებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი 75 წლისაა, მან წელს 333 შრომადღე გამოიმუშავა. სანდრო ვაზის მოვლის საუკეთესო ოსტატია.

მარიამი კი დიდი მზრუნველობით ზრდის თავის შვილიშვილებს, ისიც ხომ ბავშვების აღზრდის საუკეთესო ოსტატია.

**ვ. ბუზალაძე**

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალი ინსტიტუტები

მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან იხსნება მთელი რიგი ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სექტორები.

აკადემიის ქიმიური ინსტიტუტის მეტალურგიული სექტორის ბაზაზე, რომელიც 10 წლის წინათ ჩამოაყალიბა აკადემიკოსმა პისარჟევსკიმ, იხსნება სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი. ინსტიტუტს ექნება ცხრა განყოფილება.

იხსნება აგრეთვე სატყეო ინსტიტუტი, გეოგრაფიის ინსტიტუტი და სამამულო ომის სექტორი. (საქდესი).

## მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონატი

### პირველობა ვ. სმისლოვმა მოიპოვა

10 იანვარს გათამაშებულ იქნა მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელი, მე-17 ტური. თავისი შემადგენლობით განსაკუთრებულმა (მასში 5 გროსმაისტერი მონაწილეობდა) უძლიერეს მოჭადრაკეთა ამ ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო მოსკოველების, არამედ ჩვენი ქვეყნის მრავალი სხვა ქალაქის ჭადრაკის მოყვარულთა მხრივაც.

ახალგაზრდა გროსმაისტერმა მოსკოვის ჩემპიონმა ვასილ სმისლოვმა, რომელმაც ჩინებულად დაიწყო თამაში, ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი ტურნირი, ისე რომ ერთი პარტიაც არ წაუგია. მისი ბრწყინვალე ნიჭი განსაკუთრებით გამომჟღავნდა სატურნირო ბრძოლის მეორე ნახევარში, როცა მან თითქმის „დაეწია“ მაესტრო რაგოზინს. სმისლოვ-რაგოზინის პარტიამ, რომლის თამაშიც უკანასკნელი ტურის წინ დამთავრდა, არსებითად გადასწყვიტა ჩემპიონატში გამარჯვებულის საკითხი. სმისლოვმა მოიგო ეს პარტია და, ამრიგად, 15 შესაძლებლიდან 12 ქულა დააგროვა. უკანასკნელ ტურში მაესტრო კამიშევთან შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონია გროსმაისტერისათვის. მიუხედავად ამისა, სმისლოვმა ეს უკანასკნელი პარტიაც ჩვეული ოსტატობით ჩაატარა და მოიგო მე-17 სვლაზე.

სმისლოვმა მეოთხედ მოიპოვა მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონის საპატიო წოდება, აჯობა რა ამ ტურნირში ყველა თავის სერიოზულ მოწინააღმდეგეს, მათ შორის გროსმაისტერებსაც, რომლებიც არა ერთხელ ყოფილან საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი. სმისლოვმა დაამტკიცა, რომ იგი, ისევე როგორც სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი, მსოფლიო კლასის მოჭადრაკეა.

დღეს დამთავრდება გადადებული პარტიების გათამაშება. (საკდესი).

## პრემიერა სიღნაღის სახელმწიფო თეატრში

სიღნაღის სახელმწიფო თეატრმა დადგა მორიგი პრემიერა — შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი“. მთავარი როლები შეასრულეს ნადირაძემ, დენისაშვილმა, ქარცივაძემ, ნასყიდაშვილმა, ზალდასტანიშვილმა და ანდრონიკაშვილმა. დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს მ. იარალოვს, მხატვრობა — ნ. გომელაურს, მუსიკა — კომპოზიტორ მირიანაშვილს.

## საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

14 იანვარს, 1 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო კრებაზე საზოგადოების სხდომათა დარბაზში (ლ. კეცხოველის ქ. № 11) დოცენტი ი. ა. ასლანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ა. გრიბოედოვის სიკვდილისწინა მოგზაურობა ირანში“**. დასწრება თავისუფალია.

## თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა** — 12/I — „დაისი“. 13/I — „მთების გული“. **რუსთაველის სახელობის** — 12/I — „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, 13/I — „სამშობლო“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 12/I — „პირველი ცოლის მორჯულება“, 13/I — „ბაგრატიონი“. **მუსიკალური კომედიის** — 12/I — „მზის დაბნელება“, 13/I — „ოქროს გასაღები“. **სანკულტურის** — 13/I — „უნიადაგონი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 12/I — „ფარავნელი ბაბუკი“, 13/I — „გაიდარი“.

## აკადემიკოს შ. ნუცუბიძის მოხსენება

13 იანვარს, დღის 12 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტორია № 92) დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ღია სხდომაზე აკადემიკოსი **შ. ნუცუბიძე** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ქართული მითოლოგია და მისი მსოფლიო მნიშვნელობა“**. შესვლა თავისუფალია.

## კინოებში

**12 იანვარს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი** — „იყო ერთი გოგონა“. **დამკვრელი** — „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ“. **კომკავშირელი** — „ნატვრის თვალი“. **სპარტაკი** — „სიმღერა რუსეთზე“. **ლუქსემბურგის სახელობის** — „უკანასკნელი ღამე“. **26 კომისრის სახელობის** — „ჯუნგლი“.

**პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი**

გიორგი და პელაგია მუმლაძეები შვილებით თინათი და ქუქურით იუწყებიან **გიორგი კოხრეიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13/I, 7 ს. გამოსვენება 14/I, 2 ს. ფოთის, 12.

საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან პარტიის რაიკომის მდივნის ვ. გაბუნიას მამის **ლავრენტი გაბუნიას** გარდაცვალებას.

ფლორენცია ცინცაძე შვილებით, შვილიშვილებით, რძლით და სიძეებით იუწყება **თეო იესე-ასულ ცინცაძე-შარაშიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ალათი, შვილები პანტელეიმონ, ხარიტონ, მაკარი, ცაცა, ძიძლა, ფაჩია, რძლები ნატაშა, რაისო, ფუფუტი შვილებით იუწყებიან **სპირიდონ ქვარაცხელიას** გარდაცვალებას.

საქართველოს შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველოს თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ა. მარტინოვის დედის **ნატალიას** გარდაცვალებას.

**დაკარგულია** ქ. სამტრედიის მე-4 ტექნიკური კვანძის საღერბი ბეჭედი. ჩ. გ.

მეუღლე თამარ შვილით ზაზათი, ძმები გრიგოლ, ნიკოლოზ ოჯახებით, და თამარ იუწყებიან **ლეო ლეონტის-ძე ჩაჩანიძის** გარდაცვალებას.

შვილები რახილ, ქეთო, გიგა, ნატალია, მარგარიტა, რძალი ელენე, სიძეები ვ. ნარიმანიშვილი, ბ. ესებუა, ა. ნადირაძე იუწყებიან **სოფიო ბილანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13/I, 6½ ს. გამოსვენება 14/I, 3 ს. მონტინის, 17.

მარგო ჩხეტიანი შვილებით შოთათი და მედეათი, დედით ოლღათი იუწყება I კურსის სტუდენტ **ნინო კაშიაშვილის** გარდაცვალებას.

მშობლები შაქრო და ანა, და თამარ იუწყებიან, რომ 14/I, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ეთერ და თენგიზ **უზნაძეების** პანაშვიდი.

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ თანამშრომლები იუწყებიან აკაკი მელიტონის-ძე ტუსკიას დედის **ხასინოს** გარდაცვალებას.

**დაკარგულია** ასურეთის (თეთრი წყაროს რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კუთხის შტამპი. ჩ. გ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-68-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800

უე 00205